

ოქმი N5

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

2019 წელი, 26--28 მარტი
 ქ. ოზურგეთი
 11.00 სათი -18.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ.ღურჯუმელიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეები: ე.გორდელაძე, ლ.საჯაია, გ.ჩაგანავა, ლ.ბიგვავა, გ.კილაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები: ტ.აროშიძე, ბ.ქათამაძე, ლ.მგელაძე, ბ.დოლიძე, გ.ჩავლეშვილი, გ.თოიძე, შ.გოგიბერიძე, დ.ჭაკნელიძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ.ჩხიკვიშვილი, ხ.ცერცვაძე, ვ.ჩიგოგიძე, ნ.ორაგველიძე, დ.მამალაძე, შ.თავდიშვილი, თ.გოგუაძე, ვ.ბერიძე, პ.კილურაძე, მ.ზოიძე, ბ.თოიძე, ალ.ლონტი, ვლ.ჩავლეშვილი, ჯ.თავართქილაძე, თ.ტულუში, თ.ბურჭულაძე, ლ.სიჭინავა, დ.მჟავანაძე, მ.ბერიძე. მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე- ალ.სურგულაძე, მოადგილეები- ო.თოთიბაძე და ი.სირაძე.

მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი მუშაკები. მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოების, მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა საკრებულოს

წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე -45 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 34-მა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას და საკრებულოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომლიც დამტკიცეს 34- ხმით.

საკითხების განხილვის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარემ დ.დარჩიამ აღნიშნა, რომ მერიის სტრუქტურული ერთეულების, მის მიერ დაარსებული შ.პ.ს-ებისა და ა(ა).ი.პ-ების, საკრებულოს მუდმივმომქმედი კომისიების მიერ 2018 წელში გაწეული მუშაობის თაობაზე მათი უფროსების, დირექტორების და თავმჯდომარეების ანგარიშების მოსმენა-განხილვა გაგრძელდება 27-28 მარტს.

დღის წესრიგი

21.1.საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხადაჭერის პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: ოსიკო თოთიბაძე

ლავრენტი ბიგვავა

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 33-ხმით

ამ საკითხის განხილვისას ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარემ ბ.ქათამაძემ გამოთქვა აზრი, რომ გზებზე ბეტონის საფარი დაეგოთ 10-სმ სისქის და არა სდანიდარტულად 15 სანტიმეტრი, რითაც დაგებული გზის მოცულობას გაზრდიდნენ-განუმარტეს რომ სტანდარტის დაცვა აუცილებელია.

საკრებულოს წევრმა ლ.სიჭინავამ ითხოვა სოფელ ბაღდადში გარე განათების დამონტაჟება-განუმარტეს, რომ მონტაჟისა და მისი მოვლა-პატრონობის ხარჯები არაა გათვალისწინებული ბიუჯეტში.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ მოსახლეობის მიერ გარე განათების თანხების გადახდა არაა გამართლებული, აქცენტი უნდა გაკეთდეს ენერგოეკონომიურ ნათურებზე გადასვლაზე.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული, მონაწილეობითი დაგეგმვის და კომუნიკაციის სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის თაობაზე სამსახურის უფროსის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ინჭვირველი

ანგარიშის მოსმენის შემდეგ დ.დარჩიამ აღნიშნა, რომ იგი იყო საქმიანი და შინაარსობრივი, იმსახურებს დამაკმაყოფილებლად შეფასებას.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ე.გორდელაძემ განაცხადა, რომ მხარი უნდა დაუჭირონ ხალხის აზრს და გარე განათების მოწყობა მიჩნეული იქნას პრიორიტეტად.

საკრებულოს წევრმა მ.ჩხიკვიშვილმა იკითხა-რატომ არ არის დანიშნული რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელი? განუმარტეს, რომ მიმდინარეობს დაკვირვება და შერჩევა.

სამსახურის მიერ გაწეული მუშაობა შეაფასდა დამაკმაყოფილებლად.

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფის და

ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2018 წელში გაწეული მუშაობის თაობაზე სამსახურის უფროსის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ე.გორდელაძემ განაცხადა, რომ უნდა აიკრძალოს ქალაქის ტერიტორიაზე ღამით ხმაური-განუმარტეს, რომ ეს ფუნქცია გადმოეცა მუნიციპალიტეტს და გააკონტროლებს ზედამხედველობის განყოფილება.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ -ლ.ბიგვაძემ -დასვა შეკითხვა-მიმდინარეობს თუ არა მუშაობა გარე ვაჭრობის მოსაწესრიგებლად? განმარტეს რომ უახლოეს დროში საკრებულოს წარედგინება პროექტი.

საკრებულოს წევრმა ნ.ორაგველიძემ დასვა შეკითხვა-შეიძლება თუ არა დარეგისტრირდეს ანასეულის პარკი? -მიეცა განმარტება.

სამსახურის მიერ გაწეული მუშაობა შეაფასდა დამაკმაყოფილებლად.

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის თაობაზე სამსახურის უფროსის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ილია ლეჟავა

საკითხის განხილვისას საკრებულოს წევრმა ლ.სიჭინავამ განაცხადა, რომ მეტი მუშაობა უნდა გასწიონ საჯარო სკოლებმა პატრიოტული აღზრდისათვის.

სამსახურის მიერ გაწეული მუშაობა შეაფასდა დამაკმაყოფილებლად.

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის თაობაზე კომისიის თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ეროდი გორდელაძე

კომისიის მიერ გაწეული მუშაობა შეაფასდა დამაკმაყოფილებლად.

ამ საკითხის მოსმენის შემდეგ-13.30 საათზე -15.30 საათამდე გამოცხადდა შესვენება.

შესვენების შემდეგ რეგისტრაცია გაიარა 24-მა საკრებულოს წევრმა.

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალური მომსახურების სერვის ცენტრი“-ს მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის თაობაზე ცენტრის დირექტორის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: თენგიზ ქუტიძე

ანგარიშის განხილვისას ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარემ ტ.აროშიძემ დააყენა საკითხი სასაფლაოების, სანიღვრე არხების გაწმენდის თაობაზე-განმარტეს, რომ მერის წარმომადგენელთა მოთხოვნის შესაბამისად განხორციელდება ეს სამუშაოები.

საკრებულოს წევრმა ლ.სიჭინავამ გამოთქვა აზრი, რომ სკოლების წინ უნდა იდგეს სანაგვე ურნები, რადგან იხდიან მოსაკრებელს.

საკრებულოს წევრმა ალ.ღლონტმა დააფიქსირა მერიის ნაგავსაყრელზე არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ -ლ.ბიგვაძემ განაცხადა-გასულ წელს იყო სარეკომენდაციო წინადადება სასაფლაოებზე ფასიანი მომსახურების დანერგვის თაობაზე-რა კეთდება? რა ღონისძიებებია დაგეგმილი მოსაკრებლის ამოღების ღონის გასაზრდელად? ხორციელდება საამშენებლო ნარჩენების უტილიზაცია თუ არა ?

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ დასვა შეკითხვები:

როგორ სრულდება ნარჩენების მართვის გეგმა? დაგეგმილია თუ არა გამწვანების ღონისძიებები და ქარსაფარი ზოლების აღდგენა? დაგეგმილია თუ არა უმთავრესი პირუტყვების პრობლემის გადაწყვეტის ღონისძიებები ქალაქად და ზღვის სანაპიროზე?

საკრებულოს წევრმა გ.თოიძემ დასვა საკითხი სოფლებში დანგრეული შენობების ნარჩენების გატანის თაობაზე.

საკრებულოს წევრმა ნ.ორაგველიძემ დასვა შეკითხვები-უპატრონო ძაღლების პრობლემის გადაწყვეტასა და ქარსაფარი ზოლების აღდგენაზე.

თანამომხსენებელმა ყველა შეკითხვას გასცა პასუხი-სასაფლოები ეტაპობრივად გაიწმინდება, სანიღვრე არხების წმენდა დაწყებულია, მერის წარმომადგენლებმა ადმინისტრაციულ ერთეულებში უნდა მიმართონ მერიას. გარე განათებას ემსახურება ცენტრი, მონტაჟს სხვა ორგანიზაცია აკეთებს, სკოლებთან ურნის დადგმის საკითხი მერის წარმომადგენლების გადასაწყვეტია, მერიის ნაგავსაყრელი იხურება, სასაფლაოები სოფლებში დასარეგისტრირებელია და მიმდინარეობს მუშაობა, ფასიანმა მომსახურებამ სასაფლაოებზე არ იმუშავა, მოსაკრებლის ამოდების ელექტრონულ სისტემაზე გადასასვლელად მიმდინარეობს მუშაობა, გადაუჭრელი პრობლემა უპატრონო ძაღლების საკითხი, მათთვის თავშესაფრის პოვნა.

სამსახურის მიერ გაწეული მუშაობა შეაფასდა დამაკმაყოფილებლად.

7. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „შ.პ.ს სატის“-ს მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის თაობაზე შ.ს-ს დირექტორის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ნოდარ თოიძე

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ -ლ.ბიგვაძემ ითხოვა ანასეულში ორ ადგილზე დაზიანებული წყალსადენის მილის შეკეთება.

საკრებულოს წევრმა გ.თოიძემ ითხოვა ლიხაურის წყალსადენის მერიის ბალანსზე აყვანის პრობლემის გადაწყვეტა.

სამსახურის მიერ გაწეული მუშაობა შეაფასდა დამაკმაყოფილებლად.

8. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შ.პ.ს „მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის თაობაზე შ.შ-ს დირექტორის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ამბაკო გოგოტიშვილი

სამსახურის მიერ გაწეული მუშაობა შეაფასდა დამაკმაყოფილებლად.

9. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა (ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სივრცით ტერიტორიული დაგეგმვის ცენტრი“-ს მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის თაობაზე ა(ა).ი.პ-ს დირექტორის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გია სკამკოჩაიშვილი

სამსახურის მიერ გაწეული მუშაობა შეაფასდა დამაკმაყოფილებლად.

10. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის თაობაზე სამსახურის უფროსის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: თემურ გიორგაძე

საკრებულოს მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარემ-ლ.საჯაიამ დასვა შეკითხვა-ქალთა ცენტრები გაიხსნება თუ არა ლაითურში, მიმითსა და ნარუჯაში? - უპასუხეს, რომ შედგენილია პროექტები და დაიწყება მუშაობა, ასევე შეკეთდება ლომთათიძის ქუჩაზე დაზიანებული წყალსადენის მილი.

საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარემ შ.გოგობერიძემ განაცხადა, რომ ამ სამსახურის მუშაობა თვალსაჩინოა და უნდა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ აღნიშნა, რომ

ანგარიში მოცულობითია, ინფრასტრუქტურული სამუშაოები 17 მილიონით დაფინანსდა, კომუნალური სერვისების განვითარებისათვის არ ჩატარებულა მუშაობა, სტიქიასთან დაკავშირებული სამუშაოები ფერხდებოდა ტენდერების გამო და ვერ მოხდა თანხების ათვისება.

მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაამ განაცხადა, რომ კომუნალური სერვისების განვითარებისთვის სამუშაოები შესრულებულია, მაგრამ ანგარიშში არაა ასახული, სამსახურის მუშაობა უნდა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად, მისი აზრი გაიზიარა ფრაქციის თავმჯდომარემ ტ.აროშიძემ.

სამსახურის მიერ გაწეული მუშაობა შეაფასდა დამაკმაყოფილებლად.

11. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის თაობაზე კომისიის თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვაამ

ფრაქციის თავმჯდომარემ შ.გოგიბერიძემ განაცხადა, რომ ერთ-ერთი გამორჩეულად მომუშავე კომისია და მისი საქმიანობა უნდა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად, მას მხარი დაუჭირა ფრაქციის თავმჯდომარემ ტ.აროშიძემ.

კომისიის მიერ გაწეული მუშაობა შეაფასდა დამაკმაყოფილებლად.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ დ.დარჩიამ განაცხადა, რომ დღევანდელი სხდომა დახურულია და იგი გაგრძელდება 27 მარტს 11.00 საათზე.

27 მარტის სხდომაზე რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 45 -დან 28 -წევრმა, სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ღურჯუმელიძე. სხდომა გაიხსნა 11.00-საათზე.

12. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „რაგბის განვითარების კავშირი“-ს 2018 წელს გაწეული მუშაობის თაობაზე ა(ა).ი.პ.-ს დირექტორის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: თენგიზ კალანდაძე

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ გ.კილაძემ განაცხადა, რომ კარგი იქნება თუ სოფლებშიც მოხდება ამ სპორტის პოპულარიზაცია.

საკრებულოს წევრმა თ.ტულუშმა განაცხადა, რომ ნატანებში შეიძლება რაგბის გუნდის ჩამოყალიბება.

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.საჯაიამ განაცხადა, რომ მეტი მუშაობა საჭირო გოგონებში ამ სპორტის პოპულარიზაციისათვის.

ფრაქციის თავმჯდომარემ გ.ჩავლეშვილმა განაცხადა, რომ ეს ორგანიზაცია კარგად მუშაობს, აქვს შედეგები და კარგია საკრებულოს წევრები თუ დაესწრებიან თამაშებს.

საკრებულოს წევრმა ნ.ორაგველიძემ აღნიშნა, რომ მოთამაშეების ხელფასი არის მცირე.

სხდომის თავმჯდომარემ გ.ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ კლუბის საპატიო პრეზიდენტია არჩილ თალაკვაძე და აქტიურადაა ჩაბმული კლუბის ბაზის მშენებლობის საკითხის გადაწყვეტაში, საჭიროა შემუშავდეს რაგბის განვითარების გეგმა.

გაწეული მუშაობა შეაფასდა დამაკმაყოფილებლად.

13. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხურთო კლუბ „მერცხალი“-ს მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის თაობაზე კლუბის დირექტორის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მამუკა გოგუაძე

საკრებულოს დარგობრივი მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.საჯაიამ განაცხადა, რომ მხარს უჭერენ კლუბის გასხვისებას, წარმოუდგენელია ფედერაციისა და მუნიციპალური დაფინანსებით თვალსაჩინო წარმატებების მიღწევა, კლუბში უნდა მოწესრიგდეს თანამშრომლებს შორის ურთიერთობა.

უმრავლესობის ფრაქციის თავმჯდომარემ ტ.აროშიძემ აღნიშნა, რომ კლუბი

ტრადიციულია, ამჟამად გაუმართლებლად ცუდი შედეგები აქვს, გასარკვევია რა არის ამის მიზეზი, ვეტერანი ფეხბურთელები გეგმავენ აქციას, თუ ხელმძღვანელებშია პრობლემა უნდა წავიდნენ და მოვიდეს ახალი და გამოსწორდეს მდგომარეობა. საკრებულოს წევრმა გ.მდინარაძემ დასვა შეკითხვა-რამ განაპირობა ურეკის ფეხბურთელთა გუნდის გაუქმება.

მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაჯამ იკითხა- მუნიციპალიტეტის მერია რას გეგმავს მდგომარეობის გამოსასწორებლად? მერის პირველმა მოადგილემ ალ.სურგულაძემ უპასუხა, რომ ხელმძღვანელებმა უნდა გამოსასწორონ მდგომარეობა. საკრებულოს წევრმა დ.მჭავანაძემ განაცხადა, რომ კლუბი სამარცხვინო მდგომარეობაშია.

მომხსენებელმა მ.გოგუაძემ განმარტა- ურეკის გუნდი გაუქმდა იმის გამო, რომ „მერცხალი“ იყო ქალაქის მერიის და სოფლის გუნდს ვერ დააფინანსებდა. კლუბის მუშაობა შეამოწმა აუდიტის სამსახურმა და ვერავითარი დარღვევა ვერ აღმოაჩინა, დაპირისპირება კლუბის ხელმძღვანელებს შორის გამოიწვია ფეხბურთელებზე ხელფასების გაცემის პრობლემამ.

მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის ლ.საჯაიას აზრით, ძნელია კლუბის მუშაობა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად, კლუბის გასხვისებას მოჰყვება წარმატებები და ამის საფუძველზე - ავანსად თუ მიეცემა დამაკმაყოფილებელი შეფასება. მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაჯამ განაცხადა, რომ ანგარიში არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად შეფასდეს, უმჯობესია საკრებულომ იგი მიიღოს ცნობად და შედეგების დადების შემთხვევაში იმსჯელოს ხელახლა.

საკრებულოს წევრმა თ.ტულუშმა განაცხადა, რომ ერთ თვეში არაფერი შეიცვლება.

ფრაქციის თავმჯდომარემ ლ.მგელაძემ განაცხადა, რომ კლუბის ინფრასტრუქტურა გამართულია, მარტო გუნდის წარუმატებლობით არ უნდა შეფასდეს საერთო საქმიანობა.

სხდომის თავმჯდომარემ-გ.ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ დაფიქსირდა ორი წინადადება 1. იმ იმედით, რომ გამოსწორდება სიტუაცია მუშაობა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად და 2. ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად და შეფასება გაკეთდეს მდგომარეობის გამოსწორების შემდეგ. ამის გამო უნდა ჩატარდეს ჯერ სარეიტინგო კენჭისყრა იმის გამოსავლენად რომელ წინადადებას უყაროს კენჭი საკრებულომ.

ფრაქციის თავმჯდომარემ შ.გოგბერიძემ აღნიშნა, რომ მხედველობაშია მისაღები, რომ გამოყოფილი თანხები დახარჯულია მიზნობრივად და ბავშვთა ფეხბურთში არის წარმატებები.

ჩატარდა სარეიტინგო კენჭის ყრა და გადაწყდა კენჭი ეყაროს მეორე წინადადებას ანგარიშის ცნობად მიღებას.

ხმათა უმრავლესობით მიღებული იქნა ანგარიშის ცნობად მიღების გადაწყვეტილება. ამასთან ხელმძღვანელებს მიეცათ წინადადება არა უგვიანეს ორ თვეში წარმოადგინონ კლუბში მდგომარეობის გამოსწორების გეგმა.

14. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანება“ მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის თაობაზე გაერთიანების დირექტორის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გელა შაფაქიძე

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ლ.საჯაიამ განაცხადა, რომ ანგარიშში არ ყოფილა საუბარი გაერთიანების პრობლემებზე, აპირებენ თუ არა სპორტის ახალი სახეობების დანერგვას და სხვა. განმარტეს, რომ მთავარი პრობლემაა სახურავი, ჩამოდის წყალი, მერიის დახმარებით მოხდა შეკეთება, აუცილებელია კოსმეტიკური რემონტი, რომელიც საბავშვო ოლიმპიადამდე უნდა მოესწროს.

უმრავლესობის ფრაქციის თავმჯდომარემ ტ.აროშიძემ განაცხადა, რომ დაფინანსებაც სოლიდური აქვს გაერთიანებას და შეეგებიც თვალსაჩინო, განსაკუთრებით ჭიდაობაში.

საკრებულოს წევრმა ლ.კილაძემ იკითხა, მანუჟის მშენებლობა სრულდება, რა

გეგმები აქვთ მომავალში? განუმარტეს, რომ ჯერ კიდევ მიმდინარეობს მშენებლობა და დასრულების შემდეგ მიიღებიან ბავშვები 10 წლის ასაკიდან.

ფრაქციის თავმჯდომარემ დ.ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კარგად მიმდინარეობს სპორტული მუშაობა სოფელ შრომაში.

საკრებულოს წევრმა თ.ტულუშმა იკითხა, თუ აქვთ დაგეგმილი სპორტის რაიმე სახის განვითარება სოფელ ნატანებში? მიეცა განმარტება-შეიძლება ჭიდაობის წრის გახსნა.

ჟურნალისტმა ნ.ასათიანმა დასვა შეკითხვა, ხომ არ იგეგმება ჭიდაობის ცნობილი აწ გარდაცვლილი მწვრთნელის ალექსანდრე ბოლქვაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რაიმე სპორტული ღონისძიების ჩატარება? მიიღო განმარტება.

გაწეული მუშაობა შეაფასდა დამაკმაყოფილებლად.

15. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის კულტურის სახლი“-ს მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის თაობაზე კულტურის სახლის დირექტორის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ქეთევან ლორთქიფანიძე

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ლ.საჯაიამ გამოთქვა აზრი მუშაობა შეფასებულიყო დამაკმაყოფილებლად.

დაბა ურეკის მაჟორიტარმა საკრებულოს წევრმა გ.მდინარაძემ აღნიშნა, რომ კულტურის სახლი წარმატებულია და მერიას სთხოვა ზამთრის სეზონზე დააფინანსონ მისი გათბობის ხარჯები.

გაწეული მუშაობა შეაფასდა დამაკმაყოფილებლად.

16. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის თაობაზე ცენტრის დირექტორის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მაია ქუტიძე

ფრაქციის თავმჯდომარემ გ.ჩავლეშვილმა გამოთქვა აზრ-ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად, თან იკითხა-შეიძინეს თუ არა ავტოტრანსპორტი-განუმარტეს, რომ დაქირავებული ჰყავთ.

საკრებულოს წევრმა ლ.კილაძემ განაცხადა, რომ სამსახური წრმატებულია და იკითხა-თუ აპირებენ კურორტ ურეკში დაჭაობებული ადგილების შეწამლვას-რაზეც მიიღო დადებითი პასუხი.

სხდომის თავმჯდომარემ გ.დურჯუმელიძემ განაცხადა, რომ დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით, უმრავლესობის ფრაქციამ დააყენა საკითხი ყველა ახალშობილზე 300 ლარიანი ერთჯერადი დახმარების გაცემის თაობაზე, დასვა შეკითხვა „ც“ ჰეპატიტის გამოკვლევისთვის თუ გეგმავენ ღონისძიებებს? რა მდგომარეობაა საბავშვო ბაღებში ეპიდემიური დაავადების პრევენციის საქმეში? ტარდება თუ არა მონიტორინგი სილამაზის სალონებში? განმარტეს, რომ პერიოდულად ტარდება სილამაზის სალონების შემოწმება, 1-აპრილიდან დაიწყება „კარდაკარის“ პრინციპით სოფლებში „ც“ ჰეპატიტის კვლევა. ბავშვთა ბაღებში მიღება ხდება ფორმა „100“-ის წარმოდგენის შემდეგ.

სამსახურის მიერ გაწეული მუშაობა შეაფასდა დამაკმაყოფილებლად.

17. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის თაობაზე ცენტრის დირექტორის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მაკა ჭყონია

საკრებულოს წევრმა თ.ტულუშმა განაცხადა, რომ ზემო ნატანების ბაღს არ აქვს ეზო, რის გამოც ბავშვები ოთახებში არიან გამომწყვდეულები, განუმარტეს, რომ ბაღი არასტანდარტულია, ორ ბაღზე ითხოვდნენ ახალ შენობას ზემო ნატანებსა და შრომაში-შენდება შრომაში.

მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაჯამ აღნიშნა, რომ ანგარიში იყო ყოვლისმომცველი, დასვა შეკითხვა საგანმანათლებლო კუთხით თუ იგეგმება ღონისძიებები? განუმარტეს, რომ კვებასთან ერთად პრიორიტეტულია საგანმანათლებლო საქმიანობის გაუმჯობესება, მიმდინარეობს კვლევა და 15 აპრილისთვის წარმოდგენილი იქნება შედეგები, გაუმჯობესდა თუ არა 2017 წელთან შედარებით საგანმანათლებლო პროცესი.

საკრებულოს წევრ გ.მდინარაძის აზრით, საბავშვო ბაღებში უნდა საქმდებოდნენ სპეციალური განათლების მქონე ადამიანები. ფრაქციის თავმჯდომარემ გ.ჩავლეშვილმა აღნიშნა, რომ ბაღებში არაა სათამაშოები, გათვალისწინებულია თუ არა მათი შექმნა? უპასუხეს გათვალისწინებულია. იკითხა-შტატგარეშე მოსამსახურეები ადმინისტრაციაშია დასაქმებული თუ ბავშვთა ბაღებში-უპასუხეს ორთავე ადგილას დასაქმებულია 50 ადამიანი.

საკრებულოს წევრმა რ.სკამკოჩაიშვილმა აღნიშნა, რომ დავაბზუს ბაღები კარგად მუშაობენ, აუცილებელია ხელფასების ზრდა.

საკრებულოს წევრმა ლ.კილაძემ განაცხადა, რომ აუცილებელია მელექედურის საბავშვო ბაღის სახურავის შეკეთება.

უმრავლესობის ფრაქციის თავმჯდომარემ ტ.არომიძემ აღნიშნა, რომ ანგარიში ყოვლისმომცველია და დასვა შეკითხვა-იგეგმება თუ არა კონკრეტულ სტანდარტული ბაღის მშენებლობა?

გაზეთ „ალიონის“ ჟურნალისტმა ნ.ასათიანმა განაცხადა, რომ ანგარიში კარგია, შარშან შეირჩა 8 მუნიციპალიტეტი, სადაც შესყიდვა უნდა განხორციელდეს ყოველი კონსოლიდირებული ტენდერით -არ იყო ანგარიშში მოხსენებული, რატომ არაა გადაწყვეტილება მიღებული ბაღების თანამშრომელთა ხელფასების გაზრდაზე? მიეცა შესაბამისი განმარტება.

მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაჯამ დასვა შეკითხვა- არსებული დაფინანსების პირობებში არის თუ არა თანამშრომელთა ხელფასების ზრდის რეზერვი? უპასუხეს რომ არა, მოთხოვნილ 4,6 მილიონი ლარით დაფინანსების შემთხვევაში შეიძლებოდა 50 ლარით გაზრდა.

საკრებულოს წევრმა შ.თავდიშვილმა აღნიშნა, რომ ზოგიერთ ბაღში შესამცირებელია თანამშრომლები, ზოგს კი უნდა დაემატოს.

საკრებულოს წევრმა ნ.ორაგველიძემ განაცხადა-გათვალისწინებულია თუ არა მუშაობა ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით? რაზეც მიიღო განმარტება.

სხდომის თავმჯდომარემ გ.ლურჯუმელიძემ განაცხადა, რომ საბავშვო ბაღები პრიორიტეტულია და კომპლექსური გეგმის შემუშავებაა აუცილებელი.

სამსახურის მიერ გაწეული მუშაობა შეაფასდა დამაკმაყოფილებლად.

18. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და სარეკრეაციო დაწესებულებათა გაერთიანება“ მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის თაობაზე ა(ა).ი.პ.ი-ს დირექტორის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: თამარ ნადირიძე

მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაჯამ დასვა შეკითხვა-ცენტრალური პარკის რეაბილიტაციაა დაგეგმილი, შეიძლება იგი გახდეს დამოუკიდებელი იურიდიული პირი? განმარტეს, რომ მუშაობის გაანალიზების შემდეგ გაკეთდება დასკვნა.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ლ.საჯაიამ განაცხადა, რომ ანგარიში ინფორმატიულია, დასვა შეკითხვა-იყო დაგეგმილი ღონისძიება, რომელიც არ განხორციელდებულა? განუმარტეს რომ არა. იყო შეკითხვა ანსამბლების დაფინანსებაზე-განმარტეს, რომ დაფინანსება უნდა განხორციელდეს კონკურსის შედეგად.

გაზეთ „გურია ნიუსის“ ჟურნალისტმა მ.ჩიხლაძემ დასვა შეკითხვა-გამართლებული იყო თუ არა „პასქის ფესტივალის“ დაფინანსება ბიუჯეტიდან? განუმარტეს, რომ წელს აღარ დაფინანსდება ბიუჯეტიდან.

საკრებულოს წევრმა ლ.კილაძემ დასვა შეკითხვა-გეგმავენ თუ არა სოფლებში კონცერტებს? განუმარტეს, რომ იგეგმება.

საკრებულოს წევრმა გ.მდინარაძემ გამოთქვა აზრი, რომ კონცერტები უნდა გაიმართოს საკურორტო სეზონის გახსნასთან დაკავშირებით.

მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ გ.კილაძემ დასვა შეკითხვა-გადაწყდა თუ არა ასაწყობი სცენის შექმნა?-განმარტეს, რომ არაა გამართლებული.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ლ.საჯაიამ განაცხადა, რომ უახლოეს დროში უნდა შეეცვალოს ორგანიზაციას სახელი და წინადადებით შემოვიდა ანგარიში შეფასებულიყო დამაკმაყოფილებლად.

სამსახურის მიერ გაწეული მუშაობა შეაფასდა დამაკმაყოფილებლად.

19. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანება“ მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის თაობაზე დირექტორის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გოგა ტრაპაიძე

საკრებულოს წევრმა თ.ბურჭულაძემ დასვა შეკითხვა-როდის იგეგმება ვარლამ სიმონიშვილის სახლ-მუზეუმის გახსნა? უპასუხეს-მერიასთან მიმდინარეობს კონსულტაციები.

საკრებულოს წევრმა მ.ზოიძემ გამოთქვა აზრი გურიანთის მემორიალური მუზეუმის ვაშნარის ტერიტორიაზე გადმოტანის შესახებ.

მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაძემ განაცხადა, რომ ე.თაყაიშვილის მუზეუმი მემორიალურია, იგეგმება თუ არა რაიმე ღონისძიება მის კარ-მიდამოში? მემკვიდრე თანახმაა. განუმარტეს, რომ მემკვიდრესთან კონტაქტი არ ჰქონიათ.

ჟურნალისტმა ნ.ასათიანმა დასვა შეკითხვა-იგეგმება თუ არა ცენტრალური მუზეუმის რეაბილიტაცია? უპასუხეს, რომ პროექტი შესყიდულია და მუნიციპალური განვითარების ფონდი გამოაცხადებს ტენდერს მშენებლობაზე, მუზეუმის თანამშრომლები ითხოვენ მიწაყრილის მოხსნას და საევაკუაციო გასასვლელის მოწყობას. სხდომის თავმჯდომარემ გ.ღურჯუმელიძემ დასვა შეკითხვა არტემ ერქომაიშვილის მუზეუმის თაობაზე, განმარტეს, რომ მშენებლობა არაა დასრულებული.

სამსახურის მიერ გაწეული მუშაობა შეაფასდა დამაკმაყოფილებლად.

20. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის თაობაზე ა(ა)ი.პ.ი-ს დირექტორის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა კუტალაძე

მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაძემ განაცხადა, რომ ეს თეატრი კარგად მუშაობს, გათვალისწინებული იქნება თუ არა სივრცე მისთვის რეაბილიტირებულ დრამატულ თეატრში?

სამსახურის მიერ გაწეული მუშაობა შეაფასდა დამაკმაყოფილებლად.

21. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლი“ გურია“-ს მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის თაობაზე ანსამბლის დირექტორის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: კობა დუნდუა

მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაძემ აღნიშნა, რომ ანსამბლი წარმატებულია, დასვა შეკითხვა-მუშაობს თუ არა საბავშვო სტუდია და იყო თუ არა ანსამბლი გასტროლებზე საზღვარგარეთ? განუმარტეს, რომ სტუდია არის კერძო, გასტროლებზე ანსამბლი იყო რუსეთში.

საკრებულოს წევრმა ნ.ორაგველიძემ აღნიშნა, რომ ცნობილი ანსამბლია, არ ააქვთ მუშაობის სათანადო პირობები -რას აკეთებს მერია?

სამსახურის მიერ გაწეული მუშაობა შეაფასდა დამაკმაყოფილებლად.

22. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის თაობაზე სამსახურის უფროსის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ქეთევან სანიკიძე

მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაგამ დასვა შეკითხვა კომპიუტერულ ტომოგრაფიაზე და სარიტუალო მომსახურებაზე გაცემულ დაფინანსებაზე.

სამსახურის მიერ გაწეული მუშაობა შეაფასდა დამაკმაყოფილებლად.

23. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის თაობაზე სამსახურის უფროსის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მარინა ჯაფარიძე

სხდომის თავმჯდომარემ გ.ღურჯუმელიძემ დასვა შეკითხვა-გათვალისწინებულია თუ არა საახალწლო ღონისძიების ჩატარება? შეძენილ აპარატურაზე ვინაა პასუხისმგებელი? განმარტეს, რომ აპარატურაზე პასუხისმგებელია სამსახური, შარშან საახალწლო ღონისძიებისათვის დაგეგმილი თანხებით შეძენილი იქნა ნაძვის ხე და განათება, ღონისძიებები ჩატარდება საკუთარი ძალებით.

მერის მოადგილემ ი.სირაძემ განაცხადა, რომ ჩატარდება ის ღონისძიება, რომელზეც მოსახლეობა თანახმა იქნება.

საკრებულოს წვრმა თ.ტულუშმა აღნიშნა, რომ სოფლებში რაღაც წესით უნდა აღინიშნოს ახალი წელი.

საკრებულოს უმრავლესობის ფრაქციის თავმჯდომარემ ტ.აროშიძემ დასვა შეკითხვა სახალხო დღესასწაულების „შემოქმედლობის“, „კონჭკათლობის“ და სხვათა ჩატარებაზე.

სამსახურის მიერ გაწეული მუშაობა შეაფასდა დამაკმაყოფილებლად.

13.30 საათიდან 14.30 საათამდე გამოცხადდა შესვენება. შესვენების შემდეგ რეგისტრაცია საკრებულოს 45 წევრიდან გაიარა 24-მა.

24. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის თაობაზე სამსახურის უფროსის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაგამ დასვა შეკითხვები-იყო თუ არა საანგარიშო წელში ვადების და ნორმების დარღვევით საბიუჯეტო განაცხადების წარმოდგენის შემთხვევები? და ასევე, ფიქსირდება თუ არა ა(ა).ი.პ -ებში შტატების გადამეტების ფაქტები? რაზეც მიიღო შესაბამისი განმარტება.

სხდომის თავმჯდომარემ გ.ღურჯუმელიძემ აღნიშნა, რომ ეს იყო პირველი ანგარიში, სადაც თანამშრომელთა გადამზადებაზე არის საუბარი.

სამსახურის მიერ გაწეული მუშაობა შეაფასდა დამაკმაყოფილებლად.

25. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის თაობაზე სამსახურის უფროსის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: კობა ხაბალაშვილი

მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაგამ დასვა შეკითხვა-2018 წელში ადგილი ჰქონდა თუ არა არამიზნობრივ ხარჯებს? გამოსცა თუ არა მერმა ბრძანება რომელიმე სტრუქტურული ერთეულის საფინანსო საქმიანობის შესწავლის თაობაზე? განმარტეს, რომ შემოწმდა 6 სტრუქტურული ერთეული.

საკრებულოს წევრმა მ.ზოიძემ დასვა შეკითხვა-რა დარღვევები გამოვლინდა სამუხეუმო გაერთიანებაში? განმარტეს, რომ შტატში ჰყავდათ თანამშრომელი, რომელიც არ იყო საჭირო. საკრებულოს წევრმა გ.ჩავლეშვილმა დასვა შეკითხვა-არსებობს ობიექტური საფუძველი იმისთვის, რომ შეჩერდეს ამა თუ იმ პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსება თუ თანხა არაა ამოწურული? განუმარტეს, რომ არა.

სამსახურის მიერ გაწეული მუშაობა შეაფასდა დამაკმაყოფილებლად.

26. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის თაობაზე კომისიის თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ჩაგანავა

კომისიის მიერ გაწეული მუშაობა შეაფასდა დამაკმაყოფილებლად.

27. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის თაობაზე სამსახურის უფროსის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ალექო მამეშვილი

საკრებულოს წევრმა ნ.ორაგველიძემ აღნიშნა, რომ დამაკმაყოფილებელია ამ სამსახურის მუშაობა, დასვა შეკითხვები-ჩაის კულტურის რეაბილიტაციის შესახებ, მისი აზრით მოსახლეობას სჭირდება დახმარება ამოუძირკვავი პლანტაციის აღდგენისათვის თუ მიმდინარეობს მუშაობა შესაბამის სამინისტროსთან ამ კუთხით? ასევე ჩაის რეაბილიტაციისა და გაშენების 100% გრანტში ჩართვის მიზნით? ციტრუსოვანთა მოსავალის უმეტესობა მოსახლეობამ გადაყარა, რა ღონისძიებების გატარება იგეგმება?

მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ გ.კილაძემ დასვა შეკითხვა-თუ იმუშავა კენკროვნების 100% გრანტის პროგრამამ?

ჟურნალისტმა მ.ჩიხლაძემ დასვა შეკითხვა სტევის კულტურის შესახებ.

მომხსენებელმა განმარტა რომ გაჩნდა მოთხოვნა ჩაის ნერგებზე, მიმდინარეობს მუშაობა თავისუფალი ნაკვეთების აღრიცხვაზე, 73ა-ზე მუნიციპალიტეტში გაშენდება ჟოლო, სტევიას ნერგები შექმნილი იქნა და დაურიგდა ათ ოჯახს.

მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაძემ აღნიშნა, რომ ასეთი სამსახური არცერთ მუნიციპალიტეტში არ მუშაობს ისე წარმატებულად როგორც ოზურგეთში, ამ განცხადებას მხარი დაუჭირა უმრავლესობის ფრაქციის თავმჯდომარემ ტ.არომიძემც.

დაისვა შეკითხვა - როგორ იყენებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული უპრეცედენტო პროექტის - „მონაწილეობითი პრინციპები გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის“ ფარგლებში შექმნილ ტურიზმის განვითარების სტრატეგიას, სამოქმედო გეგმებსა და ტურისტულ პროდუქტებს შემდგომი გამოყენება-პოპულარიზაციის მიზნით? რაზეც მიეცა განმარტება, რომ ამ საკითხს შეისწავლიდნენ.

სამსახურის მიერ გაწეული მუშაობა შეაფასდა დამაკმაყოფილებლად.

28. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა და ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის თაობაზე კომისიის თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გოჩა კილაძე

კომისიის მიერ გაწეული მუშაობა შეაფასდა დამაკმაყოფილებლად.

29. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრი- სურათების გალერეა“ მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის თაობაზე გალერეას დირექტორის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ავთანდილ თავართქილაძე

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარე ლ.საჯაიამ აღნიშნა, რომ ცენტრი წარმატებულ საქმიანობას ეწევა, დააყენა წინადადება მისი მუშაობა შეფასებულიყო დამაკმაყოფილებლად.

ცენტრის მიერ გაწეული მუშაობა შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

30. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის თაობაზე სკოლის დირექტორის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: კახა ვასაძე

სკოლის მიერ გაწეული მუშაობა შეაფასდა დამაკმაყოფილებლად.

31. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გრ.კილამის მუსიკალური სკოლა“-ს მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის თაობაზე სკოლის დირექტორის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლელა შარაშენიძე

სკოლის მიერ გაწეული მუშაობა შეაფასდა დამაკმაყოფილებლად.

32. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა) ი.პ. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა“-ს მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის თაობაზე ბიბლიოთეკის დირექტორის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლიანა ბაქანიძე

სხდომის თავმჯდომარემ, გ.ღურჯუმიელიძემ აღნიშნა ცენტრის მიერ მოპოვებული გრანტით შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებისთვის მეორე სართულზე ასასვლელი ლიფტის დამონტაჟებისა და სახურავის შეცვლის თაობაზე. დაისვა შეკითხვა თუ არის მკითხველები-განმარტეს, რომ არიან მკითხველები და მოთხოვნებია თანამედროვე საზღვარგარეთულ ბეტსელერებზე.

გაწეული მუშაობა შეაფასდა დამაკმაყოფილებლად.

33. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის თაობაზე კომისიის თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლელა საჯაია

კომისიის მიერ გაწეული მუშაობა შეაფასდა დამაკმაყოფილებლად.

საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო